ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №8101392

ნომერი: AR11158396

თარიღი : 27.08.2026

გაცემის თარიღი : 29.09.2026

გაცნობის თარიღი : 30.09.2026

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ქვემო ალექსეევკა , (ნაკვ. 07/024);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკოლოზ კალაძე პ/ნ 01008055361
- საქართველო, ქალაქი თბილისი, შალვა ნუცუბიძის ფერდობი, II მიკრო/რაიონი, კვარტალი II, კორპუსი 1, ბინა 9

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- სამეურნეო და საწარმოო ობიექტები
  - საწყობი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

1. ობიექტის ფუნქციური დანიშნულება -> ....ფუნქციური დანიშნულება : საჭიროა ველში დააზუსტოთ საწყობის ფუნქცია, კონკრეტულად რისი სასაწყობე შენობის მშენებლობა გსურთ.
2. საჭიროების შემთხვევაში საპროექტო ობიექტის ესკიზური ვარიანტი -> ....ესკიზური ვარიანტის pdf ფაილი : საკადასტროდან შენობამდე მანძილი უნდა იანგარიშოთ საკადასტრო საზღვრის მართობულად და მიღებული მანძილით იანგარიშოთ მაქსიმალური სიმაღლე. ასევე საკადასტროდან შენობამდე მანძილები დაიტანეთ თვალსაჩინოდ, უმოკლეს მონაკვეთებში.
3. ექსპერტის დასკვნა მიწის ნაკვეთზე არსებული მწვანე ნარგავების აღწერისა და მათი ხარისხობრივი შეფასების შესახებ -> დასკვნის ელექტრონული ფაილი: საკითხი შესასწავლად გადაგზავნილია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში (წერილის ნომერი 60- 01262724277) საქმის წარმოების დასრულების შემდეგ პასუხს მიიღებთ შეტყობინების ველში.

საკითხი შესასწავლად გადაგზავნილია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში (წერილის ნომერი 60-01262724268) საქმის წარმოების დასრულების შემდეგ პასუხს მიიღებთ შეტყობინების ველში.

4. მიწის ნაკვეთი ექცევა სახელმწიფო ავიაციის აეროდრომის დაცვის არეში, საჭიროა წარმოდგენილი იქნას საქართველოს მთავრობის 2024 წლის 6 მარტის №73 დადგენილებით დამტკიცებული „აეროდრომისა და ვერტოდრომის დაცვის არის დადგენისა და ამ არეში საავიაციო დაბრკოლების შემქმნელი შენობა-ნაგებობის მშენებლობის, აგრეთვე აღნიშნული შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის, შეზღუდვისა და ნიშანდების წესის“ 23-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან შეთანხმებული დოკუმენტაცია.

არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს. გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.